KA030103226517417

№ 01-24944 **17 / ნოემბერი / 2017 წ.**

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს
ქ-ნ სოფიკო ბელქანიას

ქალბატონო სოფიკო,

თქვენი 2017 წლის 13 ნოემბრის №01-24563 წერილის პასუხად, რომელიც შეეხებოდა მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს ქ. თბილისში დაგეგმილ საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის პოლიტიკური კონსულტაციების ფარგლებში განსახილველი საკითხების წარმოდგენას, გაცნობებთ, რომ შრომისა და დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოსახლეობის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრულების პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას შემდეგ სფეროებში:

1. შრომისა და დასაქმების, შრომითი მიგრაციის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა/სრულყოფა;
2. სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების დაცვა და პრევენციული ზომების განხორციელება და ზედამხედველობის მექანიზმების განვითარება/სრულყოფა;
3. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და მათი შესაძლებლობების გაზრდა (მათ შორის ახალგაზრდების, შშმ პირების, ხანდაზმულების).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კონსულტაციების ფარგლებში განხილულ იქნეს ზემოთ დასახელებული საკითხები.

პატივისცემით,

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ელზა ჯგერენაია